რომ კოშკიც იყვეს საგნად ახალ თაობის აღორძინების, დაფიქრების და შრომობის
საქართველო! აი, რა არის შემოქმედება
იახსარი
1990 მარტი
№1
ლიტერატურული გაზეთი

## ჩვენი მიზანი

ეროვნული მოძრაობა ახალ ეტაპზე ავიდა. ბევრი გამარჯვება მოვიპოვეთ პოლიტიკურ სფეროში. შეიცვალა ქართველი კაცის დამოკიდებულება სინამდვილისადმი. მან ნათლად დაინახა თავისუფლებისკენ მიმავალი გზა. მაგრამ გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ ადამიანის სულზე გადის. თავისუფლებაში ინტელექტუალურად მდიდრებმა უნდა შევაბიჯოთ, ბოლომდე უნდა გაიხსნას ერის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მხარი უნდა ავუბათ მსოფლიოს არა მხოლოდ თავისუფლების სიყვარულში, არამედ ლიტერატურული პროცესების სიმდიდრითაც. ჩვენი საქმის საქმიანობა სწორედ ამას ისახავს მიზნად. იმედია მკითხველი იგრძნობს ჩვენს დიდ სურვილს, რომ მას შემოქმედება, სიხარული და იმედი გვინდა მოვუტანოთ.

სარედაქციო კოლეგია

### ეს უწმინდესი სიტყვა- კავკასია!

ძმები- მთამომავალნი უძველესი ცივილიზაციის ხალხისა,
ერთიანი ზნეობრივი ღირებულებები- ოჯახი, ძმობა, ერთგულება,
თავისუფლების სიყვარული, სილამაზის სიყვარული.
ერთიანად ლაღნი- რადგან თავისუფლება მათში ცხოვრობს.
ლამაზნი ფიზიკურად, რომელი ერთი გინდათ- აფხაზი, ლეკი, ჩერქეზი,
ჩეჩენი, ინგუში, ოსი, ყაბარდოელი, ბალყარი...
შევხედავ და ყველასაგან გამოარჩევ- რადგან სხვა რასაა, ძველი,
დაწმენდილი სისხლის კეთილშობილება გამოსჭვივის თითოეულისაგან.
შევხედავ და მივხვდები- რომ ძმები არიან.
ანთროპოლოგების მონაცემებით ქართველებს, ბასკებს და ჩერქეზებს
აბსოლუტურად ერთნაირი განლაგება აქვთ სისხლის ნაწილაკებისა...
სხვა კავკასიური ტომები შეამოწმეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ სისხლის ნათესაობა იქაც დადასტურდება.
რამ აგამღვრია? იქნებ ძნელია ერთად ყოფნა?
ამდენი საუკუნე თავისუფლების გარეშე.
ათასგვარი ფსიქიკური კომპლექსი იჩენს თავს: "მაინც მე უკეთესი ვარ, ვიდრე შენ. მართალია, ვერაფერს ვხვდები, მაგრამ ასეა!
მაინც მე ვარ უკეთესი, უფრო ძველი, უფრო მდიდარი, მაგრამ შენ დამჩაგრე.."
ეს იმ ხალხის ლოგიკაა, რომელიც ვერც აწმყოს ხედავს და ვერც მომავალს,
აღრინდელი ღირსების ნაცვლად პატივმოყვარეობაღა შემორჩენია.
არც მთლად გარადგურებულად უნდა თავი წარმოადგინოს,
მაგრამ მთავარ მტერს ვერ შეჰბედავს, არიტომ შენ გერჩის, შენ გთვლის
ყველა უბედურების სათავედ, თავად მონას და შევიწროებულს.
"აფხაზეთის მთელი შემოსავალი საქართველოში მიდის!"- ეს მათი პრეტენზიაა.
სინამდვილეში საქართველოს არაა აქვს თავისი შემოსავალი.
ისიც სადღაც მიდის...
ნუ გათათრდები... ნუ გარუსდები- ეს ჩვენი ვალია, ქართველების,
უნდა შევძახოთ ძმებს, კავკასიელებს- ანოგვიდექით გვერდში,
ვიბრძოლოდ საერთო მტრების წინააღმდეგ, თუ გადავრჩებით, თქვენ ყველანი
გადარჩებით, ეს უეჭველია. ნუ დაიძმნით კავკასიის ისედაც დაძმნილ
და დაჭრილ სხეულს- ჩვენი ვალია გადავრჩეთ...
ჩვენ, კავკასიელებს- სხვა ბისია გვაკისრია,-
მსოფლიოს ჩვენ კეთილშობილების მაგალითი უნდა მივცეთ და არა ღალატის,
ლაჩრობის, სიმდაბლის.
ნუ დაგვავიწყდება ეს უწმინდესი სიტყვა- კავკასია!
ჩვენი ვალია-გადავრჩეთ!

ლექო რეხვიაშვილი

### ნამდვილი საქართველო

რა უცებ შემოიჭრა ქართველის ცხოვრებაში ის, რითაც ყოველი ნამდვილი ადამიანი უნდა უნდა სუნთქავდეს- ეს ეროვნულობის განცდაა.

ჯერ არ დამთავრებულა ჩვენთვის ის პერიოდი, რასაც "სიტყვით ქართველობა" ჰქვია. დიახ, ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ქართველები ვართ, მაგრამ რა უნდა ვაკეთოთ იმისთვის, რომ ქართველობა მხოლოდ სიტყვა არ იყოს, ამაზე ბევრი როდი დაფიქრებულა. არადა, უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ეროვნული განცდებით ატოგოქრებულ ზღვაში ვცხოვრობთ. უცებ ამოხეთქა წლების განმავლობაში დაგროვილმა ენერგიამ. ის რაც ადრე მხოლოდ წიგნებსა და ლექსებში თუ წაგვიკითხავს, თვალხილული გახდა. ჩვენ უკვე გვყავს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები, გვყავს საქართველოსთვის თავდადებული გმირები, სახეზეა გამარჯვების პირველი შედეგები, ქალაქებს და სოფლებს დაუბრუნდათ წართმეული სახელები, რად ღირს თუნდაც თამარის და დავით აღმაშენებლის ქუჩები. კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ მოგვიტანა ჩვენმა ქუჩაში დგომამ, ჩვენმა შეძახილებმა, ჩვენმა მქუხარე ტაშმა, ჩვენმა ანთებულმა გულებმა. რაც მთავარია, ინედი მოვიდა ჩვენთან, იმის იმედი- რომ ჩვენ სურვილს, დამოუკიდებელ საქართველოს, წინ ველარაფერი აღუდგება.

„სიტყვით ქართველობის" ნაცვლად, ნამდვილ ქართველობაზე დავიწყეთ ფიქრი- აი, ყველაზე დიდი მონაპოვარი- ბევრნი ვართ კი ასეთნი? არადა, სხვა გზა არაა, სხვა გზა არაა, ისტორიის ჩარხი, ჩვენამდე უკვე ნამდვილი ქართველების შეწევნით იმგვარად დატრიალდა, რომ სხვა გზა აღარაა,- სრულიად საქართველო უნდა ვაქციოთ- ნამდვილ საქართველოდ!

• • •

### სატარაქისო ტრილოგა

არც "სიტყვით ქართველობაა" ცუდი. როცა ბავშვობიდანვე გესმის "სხვა საქართველო სადაა...", "ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...", "არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს...", "საქართველო! აი, რა არის შემოქმედება..."- როცა ბავშვობიდანვე სწავლობ, ხშირად იმეორებ კიდევ, რაღაც განსაკუთრებულს, რაღაც ზედმეტად ტკივილიანს და ძვირფასს, განა შეძლებ კი, ოდნავ მაინც არ იყო ქართველი, მაინც არ იყო გულშემატკივარი იმისა, რაც ნამდვილი ქართველების სულში ტრიალებდა და ტრიალებს. კი, მერე როცა გაიზრდები, გაშლი საქართველოს გაყიდვით აღებულ ათეულმნიანებით ხორაგით სავსე სუფრებს, დაახვავებ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს; მაგრამ შესაძლებელი კია, რაღაც წამებში მაინც არ გაიელვოს შენს მიძინებულ სულში, აი, იმან, რამაც სამუდამო სასიკეთო დაღი დაასვა შენს ბავშვობას- "სხვა საქართველო სადაა...". ჰო,-"ერი, გულადი, პურადი...". -მაგრამ გულადობა, განა მხოლოდ კარგად მოკვარახჭინებულ საქმეშია საჭირო- ალბათ გაივლებ ამას გულში. სიტყვით მაინც ჩაებღაუჭები ქართველობას, სიტყვით მაინც არ დაკარგავ იმას, რამაც გაგკაწრა, დაგკოდა, სამუდამო ჭრილობა მოგაყენა.

• • •

### სახეცვლილება

ცხრა აპრილის შემდეგ, გლოვის დღეებში, მთავრობის სასახლესთან ვწოწიალობდი, გვირგვინებსა და ანთებულ სანთლებს შორის. მთელ დღეს ფეხზე დგომის შემდეგ კიბეებზე ჩამოვჯექი. ერთი, საკმაოდ მსუქანი, გაბეღლობებული, ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი მონახლოვდა. ლოყები დაკლდომაზე ჰქონდა. გადამეხვია, კოცნა დამიწყო, მთვრალი იყო. კარგად არც კი მესმოდა, თუ რას მეუბნებოდა. რაღაცას ლუღლუღებდა. მერე თავი მომიშვირა და ნაიარევი მაჩვენა: ცხრა აპრილს მივიღეო. თვალები მასაც სანთლივით უციმციმებდა. ბავშვი რომ გიჩვენებს თავის უძვირფასეს, სათაყვანო ნივთს, ისე მიჩვენებდა ნაიარევს. ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, მუჭში ჰქონდა მოქცეული- ჩემი იმედიც გქონდეთ- დააყოლა. ეს არ იყო მხოლოდ "სიტყვით ქართველობა", თუნცა "სიტყვით ქართველობიდან" ნამდვილ ქართველობამდე ერთი ნაბიჯი ნამდვილად არაა. არც ნამდვილ საქართველომდეა ერთი ნაბიჯი.

## [illegible]

რა ბედნიერია დღევანდელი ახალგაზრდობა, იმას რაც ჩვენი თაობა, თუმც არც 70-იანი წლების ახალგაზრდობა ვართ ბებრები, ფიქრშიაც ვერ გავივლებდით, მათთვის ხელშესახებ გამხდარა. რამდენს დაგვიბრუნა სიცოცხლე და სიყმაწვილე დღევანდელმა ახალგაზრდობამ. რა დიდი დოზითაა მათში ზეიმის განცდა. ნოემბერში შვიდი დღის ნაშიმშილარებიც კი იცინოდნენ, მღეროდნენ, დაზლანდარობდნენ, თამაშ-თამაშით აკეთებდნენ დიად საქმეს. მათში ამოხეთქა ნამდვილ ქართველობის ერთ-ერთმა უმთავრესმა თვისებამ- ნებისმიერი საძნელო საქმე ჩვენთან ზეიმით კეთდებოდა. განა სეფის ტანკების წინ გამართული ცეკვა-თამაში ამის დასტური არ იყო. არავის არ ეგონოს, ისინი შიშის გრძნობას იოკებდნენ მუსიკის ჰანგებში, არა, წინაპრების ინსტიქტმა გაიღვიძა- ჩვენ ხომ ბრძოლისთვის მოგვავლინა ღმერთმა კავკასიის კარიბჭესთან და განა მაშინ, როცა ჩვენი უშუალო დანიშნულება ვიგრძენით: ჩ ბრავ პატარ-პატარა ერში თავისუფლების გენია უნდა გაგვეღვიძებინა- შეიძლებოდა კი არ გვეზეიმა. ჰოდა, ვიზეიმეთ. მოზეიმეებს სადა სცალიათ გაქცევისთვის. რომელი დიდი ერი დაიქადის ზეიმს უბედურების წინ, მაგრამ განა უბედურებაა ის, როცა შენს ღირსებას უმტკიცებ მსოფლიოს ხალხებს. ორი საუკუნე გვენატრებოდა ეს ზეიმი, რომელიც ძალიან ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რამდენ ქართველს შურს 9 აპრილს დაღუპულთა ხვედრი. გულწრფელი ვიქნები და გამოგიტყდებით, მე მაგათთავდ მშურს და ენერგიას არ დავიშურებ, ნაწილობრივ მაინც რომ არ აჟინაზღაურო მაშინდელი დანაკარგი: ვიცით ქართველებმა უკვდავების ფასი.

## ბოლო დღე

ღმერთო ჩემო, რა დიადი ზეიმია. მთელი რუსთაველი ხალხითაა სავსე, ნემსიც კი ვერ ჩავარდება მათ შორის. მთავრობის სასახლის კიბეებზე ათასზე მეტი მოშიმშილე. სახეზე არც კი ეტყობათ სისუსტე, იმდენად დიდია სიხარული. რადიომ უკვე შეგვატყობინა, რომ ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულა- დიასქუდები ცას წვდება, ნაირფერი დროშების მთელი ზღვა, ზოგი კაშნეს ისვრის მაღლა. მე გაკვირვებული ვიყურები ზევიდან- აი, თურმე როგორი ყოფილა ცაში ასროლილი ქუდები, აი თურმე როგორი ყოფილა ნამდვილი ზეიმი. შეძახილები- გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ერთხელ კი არა, უამრავჯერ. მოგეხ[?]ე -ვაშა. ზეიმობს ჩემი ერი, ყველაზე დიდი ზეიმი, რაც მე მინახავს ცხოვრებაში. თვალებს არ ვუჯერებდი, იმდენად გუნებრივი იყო ეს ზეიმი. რატომღაც მოვიწყინე, ალბათ იმიტომ რომ გამახსენდა, ამ ზეიმის შემდეგ ყველას ჩვეულებრივი ცხოვრება უნდა დაგვეწყო. ყელის ტკივილმა თავი გამახსენა. დილის რვა საათზე უკვე დავლიე პირველი ჭიქა შვინდის წვენი შვიდი დღის შიმშილობის შემდეგ. რაღაც ძალიან დიდი მთავრდება. მოწყენილობა მიპყრობს, თუმც თვალებს უხარიათ, ნულსაც უხარია, მაგრამ რაღაც მთავარი დამთავრდა, რაღაც განსაკუთრებულად მთავარი. მილიციელთა და მთავრობის წევრთა ფეხებთან ჩავჯექი, ბოლო საფეხურზე, კოლონებს შუა, რათა უფრო გარკვევით დავინახო, თუ რა ხდება ქვევით. ვაშას ძახილი და ფერად-ფერადი ქუდების ცაში ასროლა არ წყდება. მე მიკვირს- ამ სივიწროვეში არც ერთი საგანგაშო შემთხვევა. ნაშიმშილარი გოგონები სიმღერას იწყებენ. ხმა ვერ შევუწყვე, გამაჩერეს. ალბათ ამან კიდევ უფრო დამანაღვლიანა. ყველაფერი დამთავრდა, რაღაც მთავარი დამთავრდა ჩემთვის. მწერალთა კავშირის კორესპოდენტი ფოტოკამერას აზუზუნებს. ხელი დავუქნიე. თავზე თბილი ქუდი მაქვს ჩამოფხატული. ვშიშობ, არ გამირთულდეს გაციება. შეძახილები-ვაშა, ვაშა! ვიღაც უცნობი არამოშიმშილე ყვირის-ეს საძილე ტომრები თქვენია, სახლებში წაიღეთ!-უამრავი საძილე ტომარა, პლედები, გადასაფარებლები, ძველი პალტოები და პიჯაკები, ცარიელი თუ წყლით სავსე ბოთლები, თერმოსები. მუშის ნამსხვრევები. სიგარეტის ნამწვავები და კოლოფები. სამლიტრიანი ქილები თბილი წყლით. ვიღაცამ [?]არზე დამადო ხელი-ძმა მოსულა ჩემს სანახავად და სახლში წასაყვანად. გადასაფარებელი მივაწოდე-საპი საძილე ტომარა გაარვიე მეთქი [?]ცოლ-შვილს მივუტან სამახსოვროდ.-ტომრები სანთლის ნალვენთით იყო გასვრილი. რა ვიცოდი, რომ რაღაც სამ თვეში ისინი ისევ გამოსადგებოდნენ, ოღონდ ნალვენთთან ერთად სისხლითაც გაისვრებოდნენ. ისეთი განცდა წამოხყვა, თითქოს ყელზე პატარა, თოთო ბავშვი მეხუტებოდა. დროშების ფრიალი და ვაშას ძახილი თოთო ბავშვად ქცეულიყო, რომელსაც ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი. სასიხარულო ჟრიამუ ს მიღმიდან ტირილის ხმაც კი შემომესმა. პირველად მივხვდი, რომ სამშობლო არც ხმლიანი დედაკაცი, არც კუნთმაგარი ვაჟკაცი ყოფილა. უსუსური ბავშვის ხატი, რომელიც ყელზე მეხვეოდა, ჩემი სამშობლო იყო.

ზურაბ [?]



**თბილისი. 29 ოქტომბერი.**

**ეროვნული პარტიების შეთანხმებ[illegible] სას წარმოთქმული სიტყვები.**

### სამხატვრო გალერეასთან

**ირაკლი შენგელაია**

ის შეთანხმება, რაც ახლა, თხუთმეტი წუთის წინ მოხდა, სასიხარულო ნამდვილად არ იქნება იმისთვის, ვისაც არ სურს, საქართველო იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. არა მგონია, ჩვენი დღევანდელი დღით გახარებული იყოს ის ოკუპაციური რეჟიმი, რომლის ყველა წარმომადგენელი 70 წელია აწვალებს ქართველ ერს და სურს ჩაკლას ქართული ეროვნული სული, მაგრამ მან ერთი რამე უნდა იცოდეს, ქართული ტრადიციაა, რომ რაც არ უნდა განსხვავებული აზრი ჰქონოდა ორ ძმას, საფრთხის შემთხვევაში ძმები ერთმანეთის გვერდით იდგნენ და ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. დღევანდელი დღე ასეთი შეთანხმების შესანიშნავი მაგალითია. ჩვენ ვიცით, როგორი აქცია მოეწყო შარშან, ნოემბერში, რა მოყვა მას და რამდენად სიმბოლურია, რომ ნოემბერი წინ გვიძევს და ჩვენი შეთანხმების პირველ შედეგებს თქვენ უკვე ხედავთ.

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

**გიორგი ჭანტურია**

ჩვენ შევთანხმდით, ერთად ვართ და ვთქვით, რომ ჩვენს შორის უთანხმოება ამიერიდან არ უნდა მოხდეს. ისიც ვთქვით, რომ აქცია არ უნდა გაიყოს. სამხატვრო გალერეასთანაც იქნება აქცია და მთავრობის სასახლესთანაც და ეს იქნება არა ორი, არამედ ერთი აქცია. როგორც ჩვენი მეგობრები: ირაკლი წერეთელი, ზვიად გამსახურდია, ვაჟა ადამია და სხვები წარმოთქვამენ აქ სიტყვებს, ასევე ჩვენ ვიტყვით იქ, მთავრობის სასახლესთან სიტყვას და ღმერთმა ნუ ქნას ერი გაიყოს. ნოემბერი ჩვენი ზეიმის, ჩვენი სიძლიერის თვეა და დღეს მერაბ კოსტავას ნათელი სული გახარებულია, რამეთუ ეროვნული მოძრაობა ერთიანია, მტკიცე.

**ზვიად გამსახურდია**

მამულიშვილნო!

ორი-სამი დღის წინ ასე განვაცხადე: ერთიანი ბრძოლის მეტი არაფერი გვიშველის მეთქი, გაერთიანების მეტი არაფერი გვიშველისო. დღეს უფალმა ისმინა ჩემი ლოცვა სიზმში და ამ საღამოს აღსრულდა ჩემი სურვილი.

გილოცავთ ყველას ამ დღეს!

**ირაკლი წერეთელი**

მამულიშვილნო!

ერთიანი გამანთავისუფლებელი მოძრაობა ქართველ ერს თავის საუკეთესო წარსულში აბრუნებს, როცა დავით აღმაშენებელმა საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრება საქართველოს გაერთიანებით [illegible]. როგორც ირკვევა, ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა, როცა ვთქვი, რომ გარდაცვლილი მერაბ კოსტავა განუზომლად უფრო ძლიერი იქნება და ეს მისმა სულმა გააკეთა.

გაუმარჯოს ჩვენ ერთიანობას და გაუმარჯოს იმ ბედნიერ დღეს, როცა ერთიანი ქართველი ერი ძირფესვიანად შეაზანზარებს რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას... ჩვენ დავიძვრებით მთავრობის სასახლისკენ და იქ შეკრებილ ხალხს მივულოცავთ დღევანდელ გამარჯვებას, მომავალი დიდი გამარჯვებების საწინდარს.

გაუმარჯოს ქართველი ერის გმირს, ჩვენთვის მარად ცოცხალ მერაბ კოსტავას, აღსრულდა მისი იდეა ეროვნული მოძრაობის გამთლიანებისა.

### მთავრობის სასახლესთან

**ზვიად გამსახურდია**

მეგობრებო!

ჩვენ შორის იყო უთანხმოება, იმიტომ რომ ჩვენ ყველა ერთ შაბლონზე მოჭრილი ადამიანები არა ვართ. ყველას თავისი აზრი აქვს, ყველას თავისი გაგება აქვს. ზოგჯერ პიროვნული გაგებები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, რატომ გვიკვირს ეს, სრულიადაც არაა გასაკვირი. სასიხარულოა, ჩვენში აღმოჩნდა ის ძალისხმევა, რამაც ჩვენ ჩვენს პიროვნულ შეხედულებებსა და განსხვავებებზე მაღლა დაგვაყენა, მთელი ერის კეთილდღეობის სახელით. მე ვიტყოდი, რომ ჩვენს აქციებს ბევრი რამ აკლდათ, თუნდაც ინტენსიურობა. გაიხსენეთ ნოემბრის აქციები, გაიხსენეთ აპრილის აქციები, გაიხსენეთ აზვირთებული თბილისი, მთელი საქართველო- ეს შედეგი იყო იმჟამინდელი ჩვენი ერთიანობისა. ჩვენმა დანაწევრებამ და დროებითმა დაქსაქსულობამ მოიტანა ასეთი დაცემა ტონუსისა. ახლა კი დამერწმუნეთ, დაიწყება უდიდესი აღმავლობა და ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავგეგმოთ მომავალი აქციები საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ინტენსიფიკაციისათვის და უახლოეს ხანში თქვენ მოწმენი გახდებით ჩვენი წარმატებებისა. მთელი რიგი ამოცანები, პრაქტიკული ამოცანებია გადასაწყვეტი. მოგეხსენებათ, პრაქტიკული მოქმედების კაცი ვარ და ყოველთვის პრაქტიკულ საკითხებზე მიყვარს საუბარი, არის რამდენიმე ურთულესი პრობლემა, რომელიც დღეს დგას ჩვენი მოძრაობის წინაშე და ჩვენ ერთობრივი შეტევით უნდა ვუშველოთ ამ მდგომარეობას: უპირველესია, რა თქმა უნდა, აფხაზეთში შექმნილი სირთულეები, იქ ჩვენი ქართველების სავალალო მდგომარეობა. ერთიანი ბრძოლით, დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. ასევე სამაჩაბლოში, მეგობრებო, ძალზე გართულდა მდგომარეობა. ისევ და ისევ, მე ყველაფერს ვაბრალებ ჩვენს განხეთქილებას, რამაც ყველგან გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება. მე დარწმუნებული ვარ ეს გამოსწორდება, მაგრამ, რასაკვირველია, ხვალე-ზეგ ამას სჭირდება დიდი მუშაობა, დიდი შრომა, ისევ დიდი დაძაბვა ჩვენი ძალებისა და ერთიანი მოქმედება. ასე რომ, მეგობრებო, დღეიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყება ახალი ეტაპი ჩვენს მოძრაობაში. მტერმა შესაძლოა რაღაცას მიაღწია, რა თქმა უნდა დროებით, მაგრამ დღეს ის დამარცხებული გამოვიდა. დღეს დამარცხდა კაცობრიობის მტერი,-ეშმაკი, რომელიც ადამიანებს შორის განხეთქილებას თესავს, უთანხმოებას თესავს. დღეს იგი დაამარცხა სიყვარულმა, მეგობრობამ, სამშობლოსადმი თავდადებამ,და რაც მთავარია ღვთის სიყვარულმა, რამეთუ ესენი ჩვენი ყველაზე წმინდა მცნებებია. ჩვენი აქცია გაგრძელდება ერთობლივად, იქნება ორი კერა, უნდა გაჩნდეს სხვა კერებიც და უნდა ვიზრუნოთ, რომ იგი საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ახალ ეტაპში გადაიზარდოს. აი, ძირითადად,ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა.

**ი რ ა კ ლ ი   შ ე ნ გ ე ლ ა ი ა**

საქართველოს მტრების უბედურება მაშინ იწყება, როდესაც საქართველო მთლიანდება. დღეს მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმების მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას, ყველა პარტიას, მთელ ერს სურს დამოუკიდებლობა, საქართველოს თავისუფლება და თავისუფლება არის ის უმენაესი იდეა, რომელიც ამთლიანებს ყველას, ყველა ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია ეს სიტყვა. დღესვე მოხდება ერთობრივი კომუნიკეს ჩამოყალიბება, რომელსაც ხელი მოეწერება ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისგან და ხვალიდან მას მთელი საქართველო გაეცნობა. ეს იქნება სწორედ ის უზარმაზარი მუხტი, რომელიც მთელ ერს თვალნათლივ დაანახებს დამოუკიდებლობისაკენ და თავისუფლებისკენ მიმავალ გზას, რადგან ამ გზის დანახვა მხოლოდ ერთიანობით შეიძლება და როდესაც ქართველი ერი ერთიანია, მას ღმერთი მფარველობს და ვერანაირი ეშმაკეული ძალა წინ ვერ აღუდგება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

**ი რ ი ნ ა   ს ა რ ი შ ვ ი ლ ი**

მე ბევრს არ ვიტყვი, ძალიან აღელვებული ვარ. ვიტყვი მხოლოდ ერთს: გაუმარჯოს მერაბ კოსტავას და გაგვიმარჯოს ჩვენ, რადგან მივაღწიეთ ამ წმინდა კაცის სანუკვარ სურვილს და გავერთიანდით!

**ა ვ თ ა ნ დ ი ლ   ი მ ნ ა ძ ე**

მეგობრებო!

ამდენი გაუგებრობის შემდეგ ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მოხდა დღევანდელი შეთანხმება. ეხლა, როგორც მოგახსენათ ირაკლიმ, შედგება ამის საბუთი, კომუნიკე, ურთიერთგაგების და ურთიერთობის ფორმებისათვის მე, პირადად, და არა სახალხო ფრონტის სახელით, მივესალმები ამ გაერთიანებას. დაე, ღმერთმა ინებოს, მთელი საქართველო გაერთიანებულიყოს ასე და ერთ მუშტად ყოფილიყოს შეკრული.

მოგილოცავთ, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, მეგობრებო!

333

გვიან საღამოს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობრივი კომუნიკე წაიკითხა გ ი ო რ გ ი   ჭ ა ნ ტ უ რ ი ა მ.

**გ ი ო რ გ ი   გ უ რ ჯ ი ე ვ ი**

**ს ტ ო პ - ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო**

„სტოპ-სავარჯიშოს" შესრულება ინსტიტუტის* ყველა სტუდენტისთვის აუცილებელია. ამ სავარჯიშოს დროს, ბრძანებაზე „სტოპ", ან წინასწარ დანიშნულ სიგნალზე, სტუდენტი წყვეტს ნებისმიერი სახის მოძრაობას და რჩება იმ მდგომარეობაში, რომელში მყოფსაც მოუსწრო სიგნალმა. რიტმულ მოძრაობათა შორის, ინსტიტუტის ჩვეულებრივი ცხოვრების დროს, სამუშაოზე ან სუფრასთან, მან არა მხოლოდ მოძრაობა უნდა შეწყვიტოს, არამედ უნდა შეინარჩუნოს გამომეტყველება, მიმიკა, მზერა და სხეულის მუსკულატურის დაჭიმულობა იმავე მდგომარეობაში, როგორც დაფიქსირდა ბრძანებაზე „სტოპ". მან მზერა არ უნდა მოწყვიტოს იმ წერტილს, რომელსაც უყურებდა მაშინ, როცა ბრძანებამ მოუსწრო. შეჩერებული მოძრაობის მდგომარეობაში მყოფმა სტუდენტმა უნდა შეაკავოს აგრეთვე თავის აზრთა დინება, არ დაუშვას ახალ ფიქრთა წარმოშობა. მან მთელი თავისი ყურადღება უნდა მიმართოს სხეულის სხვადასხვა ნაწილში არსებული კუნთებისკენ; გადაიტანს რა ყურადღებას სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე, იმავდროულად უნდა ეცადოს არ შეიცვალოს კუნთების დაძაბულობა: არ გააძლიეროს ან არ შეასუსტოს.

ამგვარად შეჩერებულ და უმოძრაოდ დარჩენილ ადამიანს არა აქვს პ ო ზ ა: არის მხოლოდ მ ო ძ რ ა ო ბ ა, შეწყვეტილი ერთი წამიერი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მომენტში.

ჩვეულებრივ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ისეთი სისწრაფით ხდება, რომ ვერ ვამჩნევთ ამ გადასვლებისას მიღებულ პოზებს. „სტოპ-სავარჯიშო" საშუალებას გვაძლევს ვიხილოთ და ვიგრძნოთ ჩვენი სხეული ისეთ მდგომარეობაში, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად უჩვეულო და არაბუნებრივია ორგანიზმისთვის.

ნებისმიერ რასას, ნებისმიერ ერს, ნებისმიერ ეპოქას, ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ კლასს და ნებისმიერ პროფესიას სხეულის მდგომარეობათა საკუთარი, მისეული კომპლექტი აქვს, რომელსაც ვერ უგულვებელვყოფთ და რომელიც მოცემული რასის, ეპოქისა თუ პროფესიის განსაკუთრებულ სტილს ქმნის. ყოველი ადამიანი, თანახმად თავისი ინდივიდუალობისა, ითვისებს პოზათა რაღაც რაოდენობას ამ „დაწესებული" მარაგიდან. ყოველ ადამიანს პოზათა საკუთარი, ერთობ შემოსაზღვრული რეპერტუარი გააჩნია. ამის დანახვა იოლია, მაგალითად, მდარე დრამატულ ნაწარმოებში, როცა ერთი რასის ან ერთი კლასის სტილისა და მოძრაობების მექანიკურად წარმოდგენას შეჩვეული მსახიობი ცდილობს სხვა რასის ან კლასის განსახიერებას. იგივე შეიძლება შევნიშნოთ ილუსტრირებულ გაზეთებში, სადაც ხშირად გვხვდებიან აღმოსავლეთის მცხოვრებნი ინგლისელ ჯარისკაცთა მოძრაობებითა და პოზებით, ან გლეხები – ოპერის მომღერალთა მოძრაობებითა და პოზებით.

ყოველი ეპოქის, ყოველი რასისა და კლასის მოძრაობებისა და პოზების სტილი განუყრელადაა დაკავშირებული აზრისა და გრძნობის ხასიათის ფორმებთან. მათი კავშირი იმდენად მჭიდროა, ადამიანს არ ძალუძს აზროვნებისა და გრძნობიერების მისეული წესის იმგვარად შეცვლა, რომ მასთან ერთად ცვლილება არ განიცადოს პოზების მისეულმა რეპერტუარმა.

აზრისა და გრძნობის ფორმებს აზრისა და გრძნობის პ ო ზ ე ბ ი შეიძლება ვუწოდოთ. ყოველი ადამიანი ინტელექტუალური და ემოციური პოზების ისეთივე ზუსტად განსაზღვრულ რაოდენობას ფლობს, როგორც – მოძრაობის პოზებისას, და მოძრაობის, ინტელექტისა და ემოციის ყველა მისეული პოზა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამრიგად, ადამიანს არასოდეს ძალუძს საკუთარი ინტელექტუალური და ემოციური პოზების რეპერტუარის საზღვრების დაგდება ისე, რომ იმავდროულად არ შეიცვალოს მოძრაობის პოზათა რეპერტუარი.

ფსიქომოტორული ფუნქციების ფსიქოლოგიური ანალიზი, სპეციალური შესწავლა, ცხადყოფს, რომ ყოველი ჩვენი მოძრაობა,– ნებითი იქნება იგი თუ თვითნებური,– ესაა ავტომატურად მიღებული ერთი პოზიდან მეორეში არაცნობიერი გადასვლა. ილუზიაა, თითქოს ჩვენი მოძრაობები ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. სინამდვილეში ისინი ავტომატურნი არიან. ავტომატურია აგრეთვე ჩვენი აზრები და გრძნობები; ამასთან, ჩვენი აზრებისა და გრძნობების ავტომატიზმი, უმკაცრესი წესითაა დაკავშირებული მოძრაობათა ავტომატიზმთან; ერთის შეცვლა უსათუოდ იწვევს მეორის შეცვლას. თუ, მაგალითად, ადამიანი მთელ თავის ყურადღებას აზრისკენ მიმართავს და შეეცდება თავისი აზრის ავტომატიზმის შეცვლას, მაშინ მისთვის ჩვეული მოძრაობები და პოზები ყოველთვის გამოიწვევენ ძველ, შეჩვეულ ასოციაციებს და, აქედან გამომდინარე, ხელს შეუშლიან აზროვნების ახლებურ წესს.

ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რა სიძლიერის ურთიერთკავშირშია ინტელექტუალური, ემოციისა და მოძრაობის ფუნქციები, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში დიახაც ძალგვიძს დავუკვირდეთ, რა ძლიერაა დამოკიდებული ჩვენი განწყობილება და ემოციური მდგომარეობა ჩვენსავე მოძრაობებზე და პოზებზე. თუ ადამიანი განზრახ მიიღებს პოზას, რომელიც ჩვეულებრივ სევდისა და უიმედობის განცდას უკავშირდება, მალე იგი ნამდვილად იგრძნობს სევდასა და სასოწარკვეთას. ზუსტად ასე,– შიში, გულგრილობა, ზიზღი და სხვა სახის ემოციები შეიძლება გამოვიწვიოთ პოზის ხელოვნური შეცვლით.

რამდენადაც ადამიანის ყველა ფუნქცია – ინტელექტის, ემოციისა და მოძრაობის – ფლობს პოზების განსაზღვრულ, საკუთარ მარაგს, და ეს ფუნქციები განუწყვეტლივ ურთიერთზემოქმედებენ, ადამიანს ძალა არ შესწევს ამ რეპერტუართა საზღვრებს გარეთ გასვლისა.

მაგრამ მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტში, თანდაყოლილი ავტომატიზმის წრიდან გასვლის შესაძლებლობას იძლევა, და საამისოდ ერთ-ერთი საშუალება, განსაკუთრებით საკუთარ თავზე მუშაობის საწყის ეტაპზე, „სტოპ-სავარჯიშოა." საკუთარი თავის გაცნობიერებული, არამექანიკური ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ ამ სავარჯიშოს დახმარებით.

დაწყებული მოძრაობა წყდება მოულოდნელი ბრძანების ან სიგნალისთანავე; სხეული ხდება უმოძრაო და ქვავდება ერთი პოზიდან მეორეში გადასვლის მომენტში – მდგომარეობაში, რომელშიც მას არ უხდება ყოფნა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეიგრძნობს რა თავის თავს ადამიანი ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში, იგი თავის თავს ახალი კუთხით უყურებს, ჭვრეტს და აკვირდება ახლებურად. ახალ, მისთვის უჩვეულო პოზაში მას ძალა შესწევს იფიქროს ახლებურად. იმსხვრევა ძველი ავტომატიზმის წრე, სხეული ამაოდ იბრძვის ჩვეული მდგომარეობის მისაღებად: ადამიანის ნება ამას არ უშვებს. „სტოპ-სავარჯიშო" წარმოადგენს სავარჯიშოს ერთდროულად ნებისთვის, ყურადღებისთვის, აზრისთვის, გრძნობისთვის და მოძრაობისთვის.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: რათა საკმარისად მობილიზებულვყოთ ნება, ადამიანმა რომ მისთვის უჩვეულო მდგომარეობაში შეინარჩუნოს თავი, აუცილებელია გარეგანი ბრძანება „სტოპ!" ადამიანი საკუთარ თავს ბრძანება „სტოპ"-ს ვერ მისცემს: ნება ბრძანებას არ დაემორჩილება. ამის მიზეზია ის, რომ ბუნებრივ პოზათა გაერთიანება – ინტელექტუალურის, ემოციისა და მოძრაობის – ნებაზე ძლიერია. გარედან მოსული ბრძანება „სტოპ" თავად იკავებს ემოციურ და ინტელექტუალურ პოზათა ადგილს, ამ შემთხვევაში კი მოძრაობის პოზა ემორჩილება ნებას.

* 1919 წელს გ. გურჯიევმა თბილისში დააარსა ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი. ეს სავარჯიშო სწორედ ამ ინსტიტუტის სტუდენტებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი სავარჯიშოა.

[illegible] /საფრანგეთი/

**ოსეთის ბეთაური**

ჩემი ტუჩები აიგზნებიან ჯოჯოხეთური ცეცხლის მორგვივით,<br>
ჩემი ტუჩები ტკბილი შხამია და ცდუნებაა შენში ნოგვრილი.<br>
ჩემი ტუჩების ანგელოზები ცეცხლს დაანთებენ ცამდე ანჟერილს,<br>
დაგიმონებენ თხემით ტერფამდე ჩემი ტუჩების ჯარისკაცები.<br>
მერე ქურუმი ჩემი ტუჩების ცბიერი ხვევნით სულს დაგიწრიტავს,<br>
შენი სული კი აცარცარდება და მეგონება მაშინ მიჯისძვრა,<br>
შენ სიყვარული აგინთებს თვალებს, რაღაცნაირად, ნელა, გზადაგზა,<br>
ადამის მოდგმის ძვალი და ხორცი ოდითგანვე რომ ასე დაძაგრა.<br>
ჩემი ტუჩები შემოგეხვევა, როგორც გველეშაპი ციხეს დამქარი,<br>
აიწვება და ჩაიწუგება მერე საკუთარ ცეცხლში ჩანქცნარი,<br>
აჰა, ბაგენი ტკბილმოუბრობენ, მაგრამ თვალები მერნის მზრახველნი<br>
საათს სინჯავენ, იწყება ბრძოლა და ტუჩებს წყდება შენი სახელი.

## ჰაინრიხ ბიოლის ბოლო რომანი

ჰაინრიხ ბიოლის ბოლო, სიკვდილისშემდგომ გამოცემული რომანის- "ქალები რაინის პეიზაჟის ფონზე"- მოქმედება ბონში თამაშდება. რაინის წყლები, რომელთა ცქერითაც ტკბებიან რომანის გმირები, სიმბოლურად გამოხატავს ცხოვრების მდინარებასაც, შეუქცევადი რომაა თავის მოძრაობაში, ასევე პირად, ასაკობრივი ცვალებადობის გარდუვალობასაც და ბოლოს, იმას, რომ ყველა ეს ცვლილება უკეთესობისაკენ როდია მიმართული. რაინი, ზანტი და მშრომელიც, საუკუნეების განმავლობაში რომ გადაჰქონდა თავისი ძლიერი "ნხრებით" უმძიმესი კაპარჭები; რაინი, რომელშიც არც თუ დიდი ხნის წინათ ქალები თეთრეულს ამოავლებდნენ ხოლმე და რომლის ნაპირებზეც მეთევზეები ბადეებს აშრობდნენ- ეს ოდითგან წმინდა მდინარე, ყოველწამს დანანებით არსენებს ხოლმე რომანის გმირებს და მკითხველსაც წარსულ დროებას, წეს-ჩვეულებებს, როცა ადამიანთა ერთმანეთისადმი, შრომისადმი და სოციალური მდგომარეობისადმი დამოკიდებულება, როგორც ამას ბიოლი ამჩნევს, გაცილებით მარტივი და კეთილსინდისიერი იყო.

რომანში, გვაფრთხილებს მწერალი ეპიგრაფში, მოქმედების ადგილის გარდა, ყველაფერი გამოგონილია, თუმცა ადგილს არავითარი ბრალი არ მიუძღვის ასახულ პერიპეტიებში და გამართლებას არ ითხოვს. რომანის საერთო კონტექსტში ეს აზრი უფრო გამოკვეთილად იკითხება: მიწა არავითარ პასუხს არ აგებს იმაზე, რასაც ადამიანები სჩადიან. ესაა რომანი გამოუვალ სიტუაციებზე, ზნეობრივ, სულიერ და პოლიტიკურ ჩიხებზე. ნაწარმოების ჩანაფიქრი ღრმა და ყოვლისმომცველია. ბიოლი მკითხველის წინაშე გამოაშკარავებს ბიოგრაფიების ნაირფეროვან გალერეას, რომელიც დამახასიათებელი იყო ომისშემდგომ გერმანული ისტორიისათვის. პერსონაჟთა ნამსახურობის ნუსხაშია ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა მკვლელობა, თაღლითობა, სიყალბე, მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა და მიუხედავად ამისა, ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის ბედს, პოლიტიკურ სახეს და ზნეობრივ კლიმატს, რომელშიც იღუპება ყველაფერი ნამდვილადამიანური, სადაც ელემენტარული წესიერების ნებისმიერი გამოვლინება არაბუნებრივია და ყოველი მცდელობა სინდისიერი ცხოვრებისა- წინასწარაა განწირული.

რომანის ერთ-ერთი, ნახევრადფანტასტიკური პასაჟი შესაძლებელია დაგვეხმაროს იმაში, რომ უკეთ გავიგოთ მისი არსი- ვიღაც უცნობი ღამღამობით ესტუმრება ხოლმე ბანკირთა სახლებს და ამსხვრევს ძვირფას როიალებს, რომელთაგანაც თითოეული ფასდაუდებელია: ერთზე თავად ბეთჰოვენი უკრავდა, მეორეზე მოცარტი, მესამეზე ვაგნერი და ა.შ. საზოგადოებას, რომელსაც ბიოლი ასახავს, არ სჭირდება კულტურა, მას მხოლოდ მოგება და პრესტიჟული ნივთები აინტერესებს- ინსტრუმენტი, რომელზეც ბეთჰოვენი უკრავდა, აქ მხოლოდ საკოლექციო რელიქვიაა, მომგებიანი კაპიტალდაბანდება. ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ასე ხსნის "ვანდალიზმის ამ აქტებს"-- "ისინი ბეთჰოვენს ვერ მიიღებენ".

ბიოლის ბოლო რომანი არატრადიციულადაა აგებული და ჟანრობრივად განსხვავდება მკითხველის მიერ მის პროზაზე შემუშავებულ წარმოდგენებისაგან. ნაწარმოები "გავს" პიესას- ტექსტის სივრცე მთლიანად დიალოგებსა და მონოლოგებს ეთმობა, აღწერა მინიმუმამდეა დაყვანილი, ავტორის დამოკიდებულება მოქმედი გმირების და მოვლენების მიმართ უმოკლეს რემარკებში თუ მჟღავნდება. რომანში უარყოფილია ყველაფერი, რაც ადრე ქმნიდა ავტორის მანერის თავისებურებებს, საუბრის, დიალოგის განუმეორებელ მომხიბვლელობას და ხმის ჟღერადობას, ასევე მთხრობელის სულიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი რომ უკავა ბიოლის შემოქმედებაში. ეს ნოვაცია ერთმნიშვნელოვნად იკითხება: მთხრობელს არ სურს მონაწილეობა მიიღოს აღწერილ კოლიზიებში, იგი თავს არიდებს ამ სიტუაციებს.

მწერლის ყველა წიგნიდან ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად თუ გამოდგება იმისთვის, სიკვდილისწინა რომ ვუწოდოთ, რადგან უამრავ მტანჯველ კითხვას შეიცავს, რომელთა გადაჭრაც მან მომავალს მიანდო.

## მარტი

მარტში ქვეყანა იწყებს გაღვიძებას და ბევრი კაცის გვამში იწყებს დაკლებას. დეკოქტისა დალევა და წამლეულის მიღება ძალიან სასარგებლოა, რადგან კაცის ნაღველი გაიწმინდება, მაგრამ სისხლის გამოშვება სახიფათოა. აგრეთვე მავარი სასმელის დალევა თუ არ საჭიროებისათვის, აგრეთვე კარგია გაბანება ბალახის წყლებში. საჭმელი ამ თვისა უნდა იყვნენ სუფთა ხორცნი, საამურნი სასმელნი, ტკბილი საჭმელი და თოხლოთ შეწვარი კვერცხი. მაგრამ რადგანაც ორმოცის მარხვაა, ე.ი. დიდ მარხვა ყოველთვის ამ თვეში შეგვხვდება, ჩვენც გვმართებს დამორჩილება ეკლესიის კანონისა. შეძლებისდაგვარად შორს ყოფნა უნდა მწვანილეულისაგან: როგორითაც ხახვი, ნიორი, ქარქვება და ყოველი წნილეულიდან, რადგან ამგვარ გრილ საჭმლებს შეუძლიათ გვამის უძლურება და სისხლის აღრევა, რადგან ამ ჟამათ ხშირად ებართება თვალისა და მუცლის ტკივილი.

1- დღის შემდეგ კაცსა ძილი მოენატრობს. 2-შვიდ დღემდისინ ხეხილი დაისხლას. 3- სიცივე და ფრთონები. 4-წერო წამოვიდეს ჰორონის ქვეყნიდან. 5,6,7-ფიანძველნი მიწიდან ამოძვრნენ. 8-ფრთონა და წვიმა. 9,10,11-დაბნევია ორმოცდაათი დღისა. 12, 13-დღეს გაზაფხულია, როგორც ლათინელნი იტყვიან.
14- ღელვანი სამი დღე. 15, 16-მწერნი ამოძვრნენ ქვეყნის პირზედ.
17- მოწმენდილი კომშის ხის ჩარგმა კეთილია. 18, 19-დღეის შემდეგ ნავთა გზანი გაიხსნას. 20-დღეს გაზაფხულის დასაწყისია სომეხთა; 21-დღეს მზე ვერძში შევიდეს. 22-ბულბული გალობას იწყობს. 23-ამგვარი ჰაერი გასწევს ოცდაათ დღეს. 24,25-დღეს ზღვანი ღელავდნენ და მერცხალი მოფრინდეს. 26, 27-დღეის შემდეგ შეიძლება სასმელთა მიღება. 28-არაგის მზეა, სიცივე იყოს სამი დღე.
29, 30-წვიმიანი ოცდათერთმეტი დღე.

ეფრემ – ვეიდიდან

ანდრო ბუაჩიძე

***

ღოთები სვამენ ალისფერ თასებს,
მე კი ვზივარ და არა მიშავს რა,
მე ჩემს ცხოვრებას დუმილით ვავსებ,
როგორც ზღვა ავსებს ხოლმე ნიჟარას;

ქუჩაში დადის მაღალი ქალი,
ამაყი, მაგრამ ოდნავ დაღლილი,
და როგორც წყალზე გაშლილი რკალი,
მე ავტირდები ჩუმად, ბავშვივით.

რა ენაღვლებათ ნეტავი ღოთებს,
რა ენაღვლებათ ნეტავი კაცებს,
რა ენაღვლებათ გამოცლილ ბოთლებს
და ღვინით სავსე ჭიქებს და ყანწებს,

რა ენაღვლებათ ნაწვიმარ ქუჩებს,
ნაწვიმარ სახლებს და სახურავებს,
დანგრეულ ფუძეს, ნაქცეულ ბურჯებს,
დაფლეთილ ფურცლებს, დაცლილ ყულაბებს?

რა ენაღვლებათ იმ ქალის ბედი,
რომელიც დადის ასე დაღლილი,
დადის, ჩერდება ვით წვიმის წვეთი,
როგორც გაყინულ თოვლში მარხილი,

როგორც ონავარ ქარში ფურცელი,
როგორც კიბეზე მთვარის ნამზერი,
ვით ტალავერში ძველი ყურძენი,
ჩიტის ნაკენკი და განაცვენი

მიდის, ჩერდება, ჩერდება, მიდის,
მე მომწონს მისი კდემა, პატივი,
და მის თვალებში შემდგარი ბინდი,
მისი ღირსება და წვა ნამდვილი.

იარე! რადგან ამაყი მზერა
ინახავს ტკივილს, ოცნებას, სინდისს
და როგორც ცაში მზრუნავი ძერა
ის დაღლილია ლაჟვარდის ზიდვით.

ჰერმან ჰესე/შვეიცარია/

### ათასგვარი სიკვდილი

თარგმანი [illegible]

მე ოდესღაც ათასგვარი სიკვდილით მოვკვდი
და ისევ მინდა ათასგვარი სიკვდილით მოვკვდე-
მსურს ჭიად მოვკვდე კლდეთა შრეებში,
მსურს თიხად მოვკვდე მდინარის პირას,
მსურს ხეში მოვკვდე მერქნის სიკვდილით,
მსურს ფოთოლთა სიკვდილით მოვკვდე მწვანე ბალახში
და საბრალო, სისხლოვანი სიკვდილიც მსურს ადამიანის!

მსურს ხელმეორედ გავჩნდე ყვავილად,
ხედ ან ბალახად მსურს დავიბადო,
მსურს მიხილონ ირმად, თევზად, ჩიტად, პეპლად
და ყოველი სახეობიდან
წადილის სურვილს საფეხურებით გადავყავარ
საბოლოო კავშირამდე,
ადამიანის ტანჯვა რომ ქვია.

ო, მოთრთოლვარე დაძაბულო თაღო ყოფისა,
შმაგ თითებს დიდი მონატრებისა
სურს ერთმანეთთან შეაერთოს
ორი პოლუსი ყოფიერების!
ერთხელ კი არა, ათიათასჯერ- კვლავ და კვლავაც
შენ გადაისვრი სიკვდილიდან დაბადებისკენ,
ფერისცვალების მტკივნეულ გზაზე,
ფერისცვალების დიდებულ გზაზე.

## ლექსები

კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ უ რ ი
რ ა დ ი ო ა ღ ს ა რ ე ბ ა
(სტერეო)

მუშტის ეპოქაა!-
ყვირის ფსიქოლოგი,
სული მუშტია და
გული - მთავარია!
მისი გამოკვლევა
ვიღამ გაგვიბედოს,
ნეტა ჰიპოკრატე
დღეს რამ გადარია!
მუშტის ეპოქაა!-
ამბობს ჰესიოდე,
აბა ამდენ ბომბებს
ვისთვის ვამზადებთ?!
ვყავდეს მეგობარი
ყველას ორიოდე -
ისეც მოგივლიდით
ქვეყნის არამზადებს!
მუშტის ეპოქაა!-
და ნუ შევიკედლებთ,
გვინდა შერკინება
თვითონ ელუართან!
გვინდა შევარცხვინოთ
ჩვენ ის პენუარი,
ერთი სიყვარული
ვინც ვერ შეგვინახა!
მუშტის ეპოქაა!-
ყვირის ფსიქოლოგი,
სული მუშტია და
გული მთავარია!
მისი გამოკვლევა
დღეს ვინ გაგვიბედოს,
ნეტა ჰიპოკრატე
რაღამ გადარია!

დავით ჩიხლაძე

უ ს ა თ ა უ რ ო
= = = =

მაგისტრალები ვირაჟები მონორელსები
რკინიგზები ჩქაროსნული ავტოსტრადები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
ავტობუსები როლერები ტრაილერები
ფურგონები ბუქსირები თვითმფრინავები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
პოეტები ანარქისტები წმინდა გიჟები
პაციფისტები წმინდანები მამაოები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
სიყვარულები ილუზიები განშორებები
ბოდვები ოცნებები თვითმკვლელობები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
მოლოდინები სიმაღლეები სიმღერები
დარდები თანაგრძნობები შეგონებები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
კაფეები ტრაქტირები რესტორანები
სტადიონები თეატრები ყავახანები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!.
ომები სანგრები წყალდიდობები
ეპიდემიები მოწამვლები წყალბადის ბომბები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
თეთრები წითლები ყვითლები შავები
შთამომავლები -
ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ს კ ე ნ!
?ჩვენ საიდან,ადამ.ჩვენ საითკენ?

რედაქტორი ბადრი გუგუშვილი. პ/მ ლოლო რეხვიაშვილი
თავისუფალ შემოქმედთა სალონი იკრიბება ტექნიკური ბიბლიოთეკის უკან, სამხატვრო გალერეასთან.- კოსტავას/ ყოფილი ლენინის/-47. სამშაბათს და ხუთშაბათს 4-იდან 5 საათამდე. მასალები შეიძლება დაუტოვოთ ინგა რეხვიაშვილს.
მხატვარი ზაქრო კოპაძე.